ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №655854

ნომერი: AR1125890

თარიღი : 18.04.2013

გაცემის თარიღი : 23.04.2013

გაცნობის თარიღი : 23.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა კალანდაძე , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ზარნაძე პ/ნ 01024024210
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 21 ბ. 36

ორგანიზაცია:
- Greenwall development კოდი: 404880296

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სარეკონსტრუქციო ფართზე, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა; ამოსათვის საჭიროა "ფაილის მიმაგრების" გრაფაში ატვირთულ იქნას დოკუმენტაცია დღეის მდგომარეობით ყადაღის არსებობასთან დაკავშირებით, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში დამატებით ატვირთულ უნდა იქნას დამყადაღებული ორგანოს თანხმობა სამშენებლო განვითარებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური მოკლებული იქნება შესაძლებლობას დააკმაყოფილოს საპროექტო შენობაზე ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხის განხილვასთან დაკავშირებით საჭიროა:

1.. „მოთხოვნის შინაარსის ტექსტში“ ვრცლად განიმარტოს ინფორმაცია ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ
2. „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს ველში დამატებით აიტვირთოს ისეთი რაკურსიდან გადაღებული ფოტოსურათები, რომ ნათლად და მთლიანად გამოჩნდეს სარეკონსტრუქციო არეალი.
3. ველში"ფოტომონტაჟი ერთიანი იერსახით " -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : დამატებით აიტვირთოს არსებულ ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟები, რომელზეც მითითებული იქნება გაბარიტული ზომები და მასალა.
4. დამატებითი დოკუმენტაციის ველში უნდა აიტვირთოს ესკიზური ნახაზები და გეგმა რომელიც ასახავს ფართების განაწილებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.